ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ლევან დარახველიძის

2019 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი და ქონების მართვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 98 დადგენილება და 435 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 16 სხდომის მუშაობაში.

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 30 ოქტომბრამდე ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 13 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი 16 სხვადასხვა საკითხი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურიდან მოწოდებული პროექტები,
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ.

აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და ინიცირებული ის პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდნელი შედეგები, როგორიცაა:

- ვაჭრობა
- მრეწველობა
- ტრანსპორტი
- ლოჯისტიკა
- მშენებლობა
- ჯანდაცვა
- განათლება
- საფინანსო სექტორი
- სასტუმროები
- რესტორნები

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად ჩატარდა სამუშაოები ბიზნეს-აქსელერატორის საგრანტო პროგრამაზე, ბიზნეს-გეგმების ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე.

- მუხიანის ტერიტორიაზე, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარებისათვის დამუშავდა რადიოქალაქის პროექტი. შექმნილია ჩასატარებელი კვლევის სატენდერო დოკუმენტაცია, კვლევის საგანი და

პროცედურები გავლილია პოტენციურ შემსრულებლებთან. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი.

- მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერასა და ბაზის შექმნის მიმართულებით, განხორციელდა ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მათი ვიზუალიზაცია.

- ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა მონაწილეობა მიიღო: ბლოგერებისა და ინფლუენსერების "FAM ტურის" ორგანიზებაში;

- ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ორგანიზებაში. თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და გერმანიის საერთშორისო ცნობადობის მქონე ბლოგერების მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსდა ბლოგები და სტატიები;

მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, ქ.მადრიდში, სადაც ვიმყოფებოდი ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივნის, ზურაბ პოლოლიკაშვილის მოწვევით. განხილულ იქნა თბილისის ტურიზმის პოტენციალი და ის მიმართულებები, რომელშიც ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია გარკვეული დახმარება გაუწიოს ქალაქს და ხელი შეუწყოს გონივრული, სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი ტურიზმის განვითარებას.
შეთანხმებიდან გამომდინარე, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO) მ ხარს დაუჭერს თბილისის ტურიზმის განვითარებას შემდეგ საკითხებში:

- ქ.თბილისის ინიციატივას შექმნას Destination Management Organization (DMO) და მოახდინოს მისი იმპლიმენტაცია ქალაქის ტურისტული პო ტენციალის სტრატეგიის შემუშავებისას.
- ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია მხარს უჭერს თბილისის ინიციატივ ას, შედგეს როგორც ახალი ტურისტული გასტრონომიის ცენტრი.

- მხარეები ასევე შეთანხმდნენ სამომავლოდ მეტად გააღრმავონ თანამშრ ომლობა. თბილისი გამოთქვამს სურვილს, 2021 წელს, ტურიზმის მსოფ ლიო ორგანიზაციასთან ერთად ჩაატაროს კონფერენცია ურბანულ ტურ იზმზე.

2018 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 32 სხდომა.კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 225 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- განათლება

განვიხილეთ და უკვე ხორციელდება ისეთი დიდი პროექტები, როგორიცაა:

- ჭავჭავაძის გამზირისა და კახეთის გზატკეცილია რეაბილიტაცია.
- ხიზანიშვილი და ვეკუას ქუჩების რეაბილიტაცია.
- კანდელაკის ქუჩის სრული რეაბილიტაცია.
- მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია.
- ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია.
- მშრალი ხიდისა და მიმდებარე არეალის რეაბილიტაცია.

- ტეროტორიაზე 2019 წელს დაგეგმილი იყო 5 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა. მათგან 1 უკვე დასრულდა და ფუნქციონირება დაიწყო, ხოლო 4 ბაგა-ბაღი დასრულდება და ფუნქციონირებას დაიწყებს 2020 წელს.
- თბილისის ორ რაიონში ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან და დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ დაიწყო მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების მშნებლობა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი:

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან_დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

- 27 962 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა 113 ოჯახს, გარდა ამისა 61 ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.
- ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემისათვის, ვარკეთილის მე-3 მასივში 30 205 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.19.20.020.025) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად პრივატიზებით.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პერიოდში კიდევ ერთნი მნიშვნელოვანი განხილულუ პროექტი:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა საქართველოსა და EBRD-ს შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და EBRD-ს შორის საპროექტო ხელშეკრულებები.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 12 სხდომასა და ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 14 სხდომის მუშობაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი:

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი:

- თბილისის მასშტაბით დაგეგმილი განსახორციელებელი სამომავლო პროექტების განხილვა.
- მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ.
- თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგების საკითხი.

- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მითითებულ ვადებში განხორციელების საკითხები.

- ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშოების, ასევე თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ავარიული შენობების გამაგრებითი სამუშოების მიმდინარეობის შესახებ.

- დედაქალაქის დასუფთავების ავტოპარკის განახლებასა (მექანიკური დამგველი მანქანების) და ნაგვის დასახარისხებელი სპეციალური სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

- მოქალაქეთა სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლებემის გადაწყვეტის საკითხი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის წესში ცვლილების შეტანა, ასევე სკრინინგსა და ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის წევრები სისტემატურად ვხვდებოდით მოქალაქეებს, ვეცნობოდით მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში ვუწევდით დახმარებას.